ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

#01-08-17/91-2022-4

შპს „ფორსი“-სა და
საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ, იურიდიული პირი - კომპანია შპს „ფორსი“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოდგენილი დირექტორის, ალექსანდრე წაქაძის მიერ და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი“), წარმოდგენილი რექტორის, დავით გურგენიძის მიერ, ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვილს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
3. სტუდენტებისა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკის/სტაჟირების გავლა და კვალიფიციური კადრების მომზადება;
4. სხვადასხვა სამეცნიერო ან/და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის პრაქტიკის გავლა, სტაჟირება, ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვ.;

გ) დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

დ) თითოეული მხარის მნიშვნელოვან მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს თანამშრომლები და პროექტებში ჩართული სტუდენტები გამოიყენებენ უსასყიდლოდ;

ე) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან კომპანიაში;

ვ) წარჩინებული სტუდენტები კომპანიიდან მიიღებენ სტიპენდიას;

ზ) სტუდენტს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

4.1. დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.2. თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ამ მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე.

4.3. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4.4. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 წლის ვადით.

4.5. თუ მხარეები ამ მუხლის 4.4. პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე (წერილობითი ფორმით) არ გამოთქვამენ ამ მემორანდუმის შეწყვეტის სურვილს, მემორანდუმის მოქმედების ვადა ყოველ წელს ავტომატურად გრძელდება მომდევნო 1 (ერთი) წლის ვადით.

4.6. მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორი მხარე მემორანდუმის ვადის გასვლამდე 1 თვით ადრე წერილობით ატყობინებს მეორე მხარეს მემორანდუმის შეწყვეტის თაობაზე.

შპს „ფორსი“	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
მის.: ვ. ბოჭორიშვილის 37ბ	მის.: კოსტავას ქ. #77
ქალაქი თბილისი, საქართველო	ქალაქი თბილისი, საქართველო
ალექსანდრე წაქაძე	დავით გურგენიძე
თარიღი: 10.10.22 წ.	თარიღი: